სსიპ კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

21/09/2026

N 177

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კონკურსის „მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების 2026-2027 წლის წარმოების დაფინანსება“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის, „სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულებისა და საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის 2024 წლის 25 მარტის №05/36 ბრძანებისა და სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ფილმწარმოების მხარდაჭერის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 21 სექტემბრის №1-550 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2026 წლის 21 სექტემბერს, გამოცხადდეს კონკურსი „მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების 2026-2027 წლის წარმოების დაფინანსება“ და დამტკიცდეს საკონკურსო პირობები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

მამუკა ბლიაძე

დირექტორი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE